



ს(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

თავფურცელი

- თავი I - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- თავი II - სწავლის შედეგების რუქა;
- თავი III - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- თავი IV - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და სასწავლო რესურსის
შესახებ;
- თავი V - ჩვენი გამოცდილება
- თავი VI - სწავლის შედეგები – მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით;
- თავი VII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება;
- თავი VIII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი (დანართი №1); ..
- თავი IX - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

თავი I პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; საკონტაქტო ინფორმაცია	მასაჟისტი მისამართი: გურამიშვილის გამზირი 72; ვებ. გვერდი: www.manandnature.ge ტელეფონი: 995 322 261 01 89 ელ-ფოსტა:umn@access.sanet.ge
2	საფეხური და სწავლების ენა	მეოთხე საფეხური; ქართული
3	დაშვების წინაპირობა;	ჩაირიცხება პირი, რომელსაც დამლეული აქვს მესამე საფეხურის მასაჟისტის ძირითადი კურსი, აქვს შესაბამისი (მესამე საფეხურის) კვალიფიკაცია და გაივლის გასაუბრებას. დაწესებულების შესაბამისი აქტით განსაზღვრული სხვა დოკუმენტების წარმოდგენისა და გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ პირი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
4	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მასაჟისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5	პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში/ECTS	1 კრედიტი 25 საათია. მასაჟისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს - 1125სთ. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: 27 კრედიტი (675 სთ)- თეორიის კომპონენტი და 18 კრედიტი (450 სთ) პრაქტიკის კომპონენტი.
6	შინაარსი	მასაჟისტის მეოთხე საფეხურის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია მასაჟისტის სტანდარტის შესაბამისი ცოდნის მისაღებად. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 11 სასწავლო კურსისგან, რომელიც გრძელდება 31 სასწავლო კვირა



ს(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>(9 თვე). ის მოიცავს თეორიულ სწავლებასთან ერთად, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას თბილისის წამყვან საავადმყოფოებში, შინმოვლის სამსახურებში, ჰოსპისსა და ამბულატორიაში. პროგრამა ითვალისწინებს შინ მოვლის კომპონენტსაც, რაც პროფესიულ სტუდენტს უვითარებს არამარტო სტაციონარსა თუ ამბულატორიაში მუშაობის უნარებს, არამედ აძლევს სხვადასხვა სიტუაციებში მოვლის პრაქტიკულ ცოდნასაც. ყოველივე ეს ხელს შეუწობს მეოთხე საფეხურის მასაჟისტს სწავლის პროცესში ჩამოიყალიბოს გარკვეული დამოუკიდებლობით მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ჩვენი აზრით, ამ სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ ჯანდაცვის სისტემა შეივსება მნიშვნელოვანი რგოლით, რომელიც ავადმყოფის კვალიფიციურ მოვლასა და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული. პროგრამით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკას პროფესიული სტუდენტები გაივლიან ისეთ წარმატებულ სამედიცინო ორგანიზაციებში, რომელთა ჩამონათვალს იხილავთ „თანამშრომლობის მემორანდუმი“-ს ნაწილში.</p>
<p>7</p>	<p>მიზანი</p>	<p>მეოთხე საფეხურის სასწავლო პროგრამის მიზანია აღზარდოს პროფესიონალი მასაჟისტები, რომელთაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული კურსების გავლის შემდეგ ექნებათ პროფესიასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და ამ ცოდნის გარკვეული დამოუკიდებლობით პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი; გართულებულ სიტუაციებში კრიტიკული აზროვნების უნარი; სამუშაოს დაგეგმვა აუცილებელი ნაბიჯების</p>



ს(ა)იპ - სასაზღვროდობრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>გაცნობიერებით; პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის, ინსტრუმენტებისა და მასალის სწორი გამოყენება; რთულ სიტუაციაში შესაფერისი მიდგომის და მეთოდის სწორი შერჩევის უნარი; პრაქტიკაში, კრიტიკულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემებთან, როგორც დამოუკიდებლად გამკლავება, ასევე ადექვატური საინფორმაციო წყაროების კვალიფიციური გამოყენებისა და/ან დროული კომუნიკაციის უნარი, როგორც კოლეგებთან ასევე სხვა პროფესიონალებთან; უცხო ენაზე მარტივი კომუნიკაცია და შესაბამისი წყაროების ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება პროფესიული წინსვლის მიზნით; ადამიანის ჯანმრთელობასთან და სიცოცხლესთან, ასევე ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ღირებულებათა მწყობრი სისტემის შექმნა. მთლიანობაში ჰქონდეს პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი - შეძლოს მუშაობა სტაციონარში, შინმთავლის სამსახურში, ბავშვთა სახლებსა და მოხუცებულთა თავშესაფრებში, აგრეთვე ჰოსპისებში.</p> <p>პროფესიულ პროგრამაში მითითებულ სასწავლო კურსებში განსაზღვრულია უფრო კონკრეტული მიზნები, რომელიც ემსახურება პროფესიონალი კადრის აღზრდას.</p>
<p>8</p>	<p>პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა); სწავლების მეთოდები</p>	<p>პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ლექციაზე დასწრება; ➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა; ➤ პრაქტიკა (სასწავლო და საწარმოო); ➤ დამოუკიდებელი მეცადინეობა; ➤ გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარება. <p>სწავლების მეთოდი ითვალისწინებს:</p>



ს(ა)იპ - სასწავლო-მეცნიერო კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<ul style="list-style-type: none"> ➤ ლექცია – შესაბამისი მასალის ახსნას, თეორიულ სწავლებას ლიტერატურის, ან/და სალექციო კურსებით, ან/და საპრეზენტაციო საშუალებების გამოყენებით; ➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა – ახსნილი მასალის ირგვლივ კითხვა-პასუხი, დისკუსია, შემთხვევა-მაგალითების განხილვა; 3-კაციან ჯგუფებში მუშაობა ფუნქციურ საწოლთან სადემონსტრაციო ოთახში მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ ან/და დამოუკიდებლად; ➤ პრაქტიკა – თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული დავალებების შესრულება სიმულირებულ (სასწავლო) და რეალურ (საწარმოო) გარემოში; ➤ დამოუკიდებელი სამუშაო – ახსნილი მასალის, მითითებული სასწავლო მასალიდან, თეორიული ცოდნის გამყარება; გავლილ მასალაზე პრეზენტაციის მომზადება, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისათვის მომზადება.
<p style="text-align: center;">9</p>	<p style="text-align: center;">პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება</p> <p style="text-align: center;">სასწავლო კურსზე/ პრაქტიკაზე მიღებული უარყოფითი შეფასების შედეგები</p>	<p>სასწავლო კურსის/ პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება დაყოფილია ორ ნაწილად: შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა. (იხ. სილაბუსებში) შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დავალების შესრულების ხარისხი (წერილობითი ან/და ზეპირი); ➤ აქტივობა; ➤ პრაქტიკული დავალების შესრულება; ➤ დასწრება; ➤ ტესტი; <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური</p>



ს(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>შეფასების 61-70%;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>თუ დამატებით გამოცდაზე პროფესიულმა სტუდენტმა ვერ გადალახა ბარიერი და მიიღო უარყოფითი შეფასება მას:</p> <p>ა) ან შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი მომავალი ახალი ჯგუფის დაკომპლექტებამდე;</p> <p>ბ) ან ინდივიდუალურად გაივლის პროფესიულ საგან-მანათლებლო პროგრამას, რისთვისაც დაეკისრება დამატებით ფინანსური ვალდებულება;</p> <p>გ) ან ისარგებლებს მობილობის უფლებით. პროფესიული სტუდენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთზე.</p>
<p>10</p>	<p>დასაქმების სფერო</p>	<p>პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის ერთ-ერთ დამსაქმებელს წარმოადგენს;</p> <p>➤ ა (ა) ი პ „ადამიანი და ბუნება“ -ს შინმოვლის სამსახური, რომელიც 1998 წლიდან დღემდე არსებობს და საქართველოში არსებული შინმოვლის</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>კოალიციის ერთ-ერთი დამფუძნებელია; ასეთივე პერსპექტიულ დამსაქმებელს წარმოადგენს</p> <p>ა (ა) ი პ „ადამიანი და ბუნება“ -ს პარტნიორი ორგანიზაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კავშირი „ონკოპრევენციის ცენტრი“ -ს პალიატიური მზრუნველობის კლინიკა; ➤ ფონდი „თაობა“; ➤ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო; ➤ ა (ა) ი პ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“; ➤ საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და ეროვნული თვითგანათლების ქართული კავშირი (ასოციაცია) „გენეზისი“. <p>2007 წლიდან „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია საქართველოსთვის შინმოვლის ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 3 გეოგრაფიული მოდელის შემუშავება და გამოცდა დიდი ქალაქის, პატარა ქალაქისა და სოფლისათვის. არსებული პროექტის წარმატებულად ჩართვა (მუშაობა მიმდინარეობს საკანონმდებლო დონეზე) საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის რეფორმების პროცესში მოთხოვნას ექთნის თანაშემწის კვალიფიკაციის მქონე ადამიანებზე მკვეთრად გაზრდის არა მარტო თბილისში, არამედ მთელი საქართველოს რეგიონებში.</p> <p>გარდა შინმოვლის სამსახურების პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმება შესაძლებელია კლინიკებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, სპორტულ გუნდებში, ბაღეტისა და ცეკვის</p>
--	--	---



ს(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>ანსამბლებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სკოლა-ბალებში, ბავშვთა სახლებში, მოხუცებულთა თავშესაფრებში, ჰოსპისებში და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მომუშავე ორგანიზაციებში, მასაჟისტს შეუძლია ექიმი-რეაბილოტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ბინაზე მომსახურება.</p>
<p>11</p>	<p>თანამშრომლობის მემორანდუმი</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ კავშირი "ონკოპრევენციის ცენტრი" -ს პალიატიური მზრუნველობის კლინიკა; ➤ ფონდი "თაობა", ➤ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო; ➤ ს(ა)იპ "კოალიცია შინმოვლა საქართველოში"; ➤ შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი"; ➤ საქართველოს ექთნების ასოციაცია; ➤ შპს "თერაპიის სახლი"; ➤ შპს მე-3 სამედიცინო პროფესიული ცენტრი ➤ "ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული" მოწყალეების ცენტრის პროფესიული კოლეჯი. ➤ აკ. გ.ჩაფიძე სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრი; ➤ შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“ ➤ სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი -„მედიგარდი“; ➤ ბაკურ კოტეტიშვილის ფსიქონევროლოგიური კლინიკა; ➤ ს(ა)იპ "წმ. მიქაელის სახელობის თავისუფალი პედაგოგიური ცენტრი".
<p>12</p>	<p>მობილობა</p>	<p>დაწესებულებაში მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასაჟისტი მობილობით გადმოსვლა შესაძლებელია სასწავლო კურსის "კომპიუტერული უნარების" დასრულებისა და სასწავლო კურსის</p>



ს(ა)იპ - სასაქონლო-გადამამდიკანო კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>„სამედიცინო მასაჟი“ დაწესებამდე. ჩარიცხვის პროცედურა დასრულდება ჩამოთვლილი სასწავლო კურსების დაწესებამდე 5 სამუშაო დღით ადრე. მობილობის ზუსტი ვადები განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე. განცხადებაში მითითებული იქნება დოკუმენტაციის მიღების წესი და ვადა. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: 1. განაცხადი (განაცხადის ფორმა განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე); 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ერთი ფოტოსურათი 3x4; 4. ჩარიცხვის ბრძანება; 5. სასწავლო ბარათი (განვლილი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მოპოვებული კრედიტების რაოდენობა). მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესს წყვეტს სამეთვალყურეო საბჭო ინდივიდუალურად. <u>მობილობით გადამსვლელთა საყურადღებოდ!</u> გადასვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუმცა რეკომენდირებულია თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.</p>
--	--	--

თავი II სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები	მიღწეული კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1. სამედიცინო მასაჟი	×	×	×	×	×	×
2. უცხო ენა(ინგლისური)	×	×		×		
3. კინეზოთერაპია	×	×				
4. ნევროლოგია	×	×	×	×	×	×
5. მეან-გინეკოლოგიის	×	×	×			



ს(ა)იპ - სასაქონლო-გადამამდიკო კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

6. პედიატრია	×	×	×			
7. ფსიქიატრია	×	×	×	×		
8. ქირურგია, ორთოპედია, ტრავმატოლოგია	×	×	×			
9. ჰიგიენა	×	×	×			×
10. სასწავლო პრაქტიკა	×	×	×	×	×	×
11. საწარმოო პრაქტიკა	×	×	×	×	×	×



ს(ა)იპ - სასაქონლო-გადამამდირო კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

თავი III პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

კომპონენტების (სასწავლო კურსის/მოდულის)	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სულ საათების ოდენობა
		ლექცია	სამუშაო ჯგუფი	შუალედური და საბოლოო ცოდნის შეფასება	სასწავლო პრაქტიკა	საწარმო პრაქტიკა		
1. უცხო ენა (ინგლისური)	4	48 სთ	12 სთ	6 სთ	-	-	34 სთ	100 სთ
2. სამედიცინო მასაჟი	13,5	140სთ	120სთ	20 სთ	-	-	57,5 სთ	337, 5 სთ
3.კინეზოთერაპია	2	25 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	11 სთ	50 სთ
4.პედატრია	1,5	16 სთ	8 სთ	4 სთ	-	-	9,5 სთ	37,5 სთ
5.მენ- გინეკოლოგია	1	10სთ	5სთ	4 სთ	-	-	6 სთ	25 სთ
6. ჰიგიენა	1	10 სთ	5 სთ	4 სთ	-	-	6 სთ	25 სთ
7. ნევროლოგიის საფუძვლები	1,5	16 სთ	8 სთ	4 სთ	-	-	9,5 სთ	37,5 სთ
8. ქირურგიის საფუძვლები, ტრავმატოლოგია, ორთოპედია	1,5	15 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	8,5 სთ	37,5 სთ
9. ფსიქიატრიის საფუძვლები	1	10 სთ	5 სთ	4 სთ	-	-	6 სთ	25 სთ
10. სასწავლო პრაქტიკა	10	-	-	25 სთ	225 სთ	-	-	250 სთ
11. საწარმოო პრაქტიკა	8	-	-	20 სთ	-	180 სთ	-	200 სთ
ჯამი	45	290 სთ	183 სთ	99 სთ	225 სთ	180 სთ	148 სთ	1125 სთ



ს(ა)იპ - სასაზღვროდობრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

თავი IV ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და სასწავლო რესურსის შესახებ

სახელი, გვარი	სასწავლო კურსი	კვალიფიკაცია/საკონტაქტო ინფორმაცია
გიორგი ხუბულური	კომპიუტერული უნარები	საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი („PC Führerschein“); 995 591 61 11 62
თამარ მამალაძე	უცხო ენა (ინგლისური)	ინგლისური ენის პედაგოგი; 995 599733316
მერი ვაშაკიძე ნინო მეშვილდიშვილი თამარ კანთელაძე	ავადმყოფის მოვლა - თეორიული კურსი და სასწავლო პრაქტიკა	მერი ვაშაკიძე - მედდის საქმე; ტელ: 995 593 63 2285 ნინო მეშვილდიშვილი - მედდის საქმე; ტელ: 995 593 63 21 30 თამარ კანთელიძე - მედდის საქმე; ტელ: 995 595 50 52 81
ქეთევან გარსევანიშვილი	ავადმყოფის მოვლა - საწარმოო პრაქტიკა	ქეთევან გარსევანიშვილი - მედდის საქმე; ტელ.: 995 577 119199
ლია ბუღაძე	პედიატრია	ლია ბუღაძე - ექიმი-პედიატრი; ტელ.: 995 599109502
ლალი ზაქარიაძე	ჰიგიენა	ლალი ზაქარიაძე - ჰიგიენა, სანიტარია და ეპიდემიოლოგია; ტელ: 995571 541172
ალექსანდრე გორდელაძე	ქირურგიის საფუძვლები, ტრავმატოლოგია, ორთოპედია	ალექსანდრე გორდელაძე - მედ. დოქტორი; ტელ.: 995 599550525
ხათუნა ბურდული	მეან-გინეკოლოგიის საფუძვლები	ხათუნა ბურდული - ექიმი-გინეკოლოგი; ტელ.: 995 599509820
ბესიკ ვაშაკიძე	ნევროლოგიის საფუძვლები	ბესიკ ვაშაკიძე - ექიმი-ნევროლოგი; ტელ.: 995 599 580405



ს(ა)იპ - სასაზღვაო კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

ნესტან დუდუჩავა	ფსიქიატრიის და გერიატრიის საფუძვლები	ნესტან დუდუჩავა - ფსიქიატრი , ტელ.: 995 599 570851
იოსებ აბესაძე	საწარმოო პრაქტიკა -ავადმყოფის პალატიური მოვლა- მზრუნველობა	იოსებ აბესაძე - ექიმი/პალატიური მედიცინის სპეციალისტი; ტელ.: 995 599 900319
ლალი ზაუტაშვილი	სასწავლო პრაქტიკა - ავადმყოფის მოვლა	ლალი ზაუტაშვილი - ბიოლოგისა და ქიმიის პედაგოგი; ტელ: 995 599 2024 95;

თავი V ჩვენი გამოცდილება

თარიღი	პროგრამის სახელწოდება	დამფინანსებელი ორგანიზაცია
2013	ლალი ზაუტაშვილმა მონაწილეობა მიიღო: ფიზიოთერაპევტთა მე-9 საერთაშორისო კონფერენციაში - შვეიცარია (დორნახი). თემა: „სითბო, როგორც თერაპიის არსი; რიტმული მასაჟის კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარში - შვეიცარია (მოშბერგი). თემა: „რიტმული მასაჟი ფსიქოსომატიკასა და ფსიქიატრიაში“	შპს „თერაპიის სახლის“ მივლინება
2010 – 2011	საექთნო სახელმძღვანელოს თარგმანი გერმანულიდან ქართულ ენაზე და მისი გამოცემა	ანთროპოსოფიული მოვლის საერთაშორისო ფორუმი
2009 – 2010	ტენდერში გამარჯვების შედეგად გადამზადდება გაიარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 500-ზე მეტმა ოჯახის ექთანმა სასწავლო კურსით „პაციენტის ბინაზე მოვლის უნარ-ჩვევები ექთნებისათვის“, პროექტის „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში	ევროკავშირის გრანტით - შემკვეთი: სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“
2009 – 2010	პროექტი: „შინ მოვლის განვითარება საქართველოში“	➤ საქველმოქმედო ფონდი „კორდაიდი“ (ჰოლანდია) ➤ საქველმოქმედო ფონდი



ს(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		”დიაკონიშეს ვერქ“ (გერმანია)
2002 – 2008	პროექტი: ”შინ მოვლის სამსახურისა და საექთნო სწავლების დივერსიფიცირება“	საქველმოქმედო ფონდი ”კორდაიდი“ (ჰოლანდია)
2003	<p>ლალი ზაუტაშვილმა გაიარა საკვალიფიკაციო პრაქტიკა, როგორც ლიმფოლოგმა-მასაჟისტმა და რიტმული მასაჟის სპეციალისტმა გერმანიის შემდეგ კლინიკებში:</p> <p>ფოლდის სახ. ლიმფოლოგიური კლინიკა (ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკასთან კორპორატიულ კავშირში მყოფი);</p> <p>ემელბრონის შინაგან სნეულებათა საავადმყოფოს ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში; ჰერდეკეს საზოგადოებრივი კლინიკის ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში;</p> <p>ფილდერკლინიკის (ფილდერშტატ-ბონლანდენ) ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში.</p> <p>ამავე წელს მან მონაწილეობა მიიღო მე-4 საერთაშორისო ფიზიოთერაპიულ კონფერენციაში ”გული მოძრაობასა და სიმშვიდეს შორის“ დორნახში (შვეიცარია) და დორთე კრაუზეს ინსტიტუტში (გერმანია) გამართულ ვორკშოფში - რიტმული შეხელება ვეგმან/ჰაუშკას მიხედვით</p>	ედელგარდ გროსე - ბრაუკმანის მიერ ორგანიზებული და ფინანსურად მხარდაჭერილი მივლინება
2000 – 2001	პროექტი: ”შინმოვლის სამსახურის განვითარება“	ფონდი ”ღია საზოგადოება“ საქართველო
2001	<p>პროექტი: ”საექთნო სწავლების და შინმოვლის სამსახურის განვითარება“</p> <p>ლალი ზაუტაშვილმა მოსკოვში გაიარა გერმანელი სპეციალისტების მიერ მოწყობილი ლიმფოლოგიის სრული კურსი - ლიმფური სისტემის პათოფიზიოლოგია, მანუალური ლიმფოდრენაჟისა და შემუშავებისაწინააღმდეგო კომპლექსური ფიზიკალური თერაპიისა და კომპრესიული თერაპიის პრაქტიკული კურსების ჩათვლით, რის შედეგად მიიღო ლიმფოლოგი-მასაჟისტის დიპლომი</p>	<p>საქველმოქმედო ფონდი სოფტვეარ აგ (გერმანია)</p> <p>შპს ”თერაპიის სახლის“ მივლინებით</p>



ს(ა)იპ - სახელმწიფო საავადმყოფო კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

<p>1999 - 2000</p>	<p>პროექტი: ”შინ მოვლის სამსახური, ექთანთა საბაზისო და დიპლომისშემდგომი განათლება“</p>	<p>ევროკავშირის ტასის / ლიენ პროექტი</p>
<p>1997- 1998</p>	<p>მარგარიტა ჰაუშკას სახელობის რიტმული მასაჟისა და არტ-თერაპიის სკოლაში (გერმანია, ბად-ბოლი) ლალი ზაუტაშვილმა გაიარა რიტმული მასაჟის სრული კურსი და მიიღო შესაბამისი დიპლომი.</p>	<p>ქალბატონ ვილფრიდე ჰასაუერის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული მივლინება</p>

თავი VI სწავლის შედეგები – მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის: აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა; პროგრამა Ms Excel –ში ცხრილების შედგენა, შევსება და დამუშავება; ანგარიშების, პრეზენტაციების მომზადება და გაფორმება; ინგლისური ენის საწყისი კურსის პროგრამა; დაავადებათა სიმპტომების ამოცნობა; ურთიერთობის ფსიქოლოგია; ფსიქიატრიის საფუძვლები; შეუძლია პაციენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღქმა და გაცნობიერება; პირველადი გადაუდებელი დახმარება; სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას; ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობები; ორსულობის მიმდინარეობები და ზოგადი გართულებები; ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები, რომელიც ეხება როგორც ფიზიოლოგიას ასევე პათოლოგიას; ნერვული სისტემის ანატომიის და ფიზიოლოგიის საფუძვლები; მასაჟის ტრადიციული და კლასიკური ტექნიკის გამოყენება; კინეზოთერაპიის, მანუალური თერაპიის, აკუპრესურის საშუალებები; შეცდომების გარეშე პროცედურების ჩატარება რეაბილიტაციის ჰოსპიტალურ ფაზაში რთულ პაციენტებთან; არასპეციფიური და სპეციფიური საშუალებების რაციონალურად გამოყენება, ექსტრაკარდიალური ჰემადინამიკური ფაქტორების ფუნქციის გასაუმჯობესებლად, რეაბილიტაციის შემდეგ პაციენტის კონვალესცენტურ ფაზაში გადასყვანად.</p> <p>აცნობიერებს: პრობლემების გადაჭრის ზოგად და კერძო შესაძლებლობებს; მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და მისი ეფექტური გამოყენების მნიშვნელობას პროფესიულ საქმიანობაში; ჰიგიენის პრაქტიკულ მნიშვნელობას; პედიატრიის საფუძვლების ცოდნის მნიშვნელობას; სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტის მდგომარეობას;</p>
-------------------------------------	---



ს(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

ცოდნის პრაქტიკაში
გამოყენების უნარი

შეუძლია:

სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით; აწარმოოს დღიური და შეინახოს ინფორმაცია.

მარტივი კომპიუტერული და პროგრამული პრობლემების გადაჭრა; ინგლისურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება; სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით; მასაჟის დაგეგმვა და მისი პროცესის მოდელირება პაციენტის მდგომარეობის, ასაკის და დაავადების გათვალისწინებით; საკუთარი თავის დაცვა სხეულებრივი და მენტალური პრობლემებისაგან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს (განსაკუთრებით ინფექციის კერაში მუშაობისას); შეხების განსაკუთრებული უნარების ჩამოყალიბება; სტაციონარში და ბინის პირობებში პაციენტისთვის მასაჟის პროცედურის ჩატარება;

ცალკეულ და რთული დაავადებების მიმდინარეობისა და თავისებურებების გათვალისწინება, მკურნალობა სამკურნალო მასაჟის პროცედურებით; სანიტარული ნორმების დაცვა; შეასრულოს სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; პაციენტს ასწავლოს საკუთარი თავის მომსახურება. გინეკოლოგიური დაავადებების ზოგადი არსის გათვალისწინება და გართულებების პროფილაქტიკა; ნაწოლების პრევენცია, დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა; სხვადასხვა დაავადების სიმპტომო-კომპლექსების ამოცნობა; ავადმყოფი ბავშვთან მიმართებით პედიატრიის საფუძვლების გათვალისწინება; სკოლებში და საბავშვო ბაღებში სუსტი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელი ბავშვების სწორი ტანადობის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი პროცედურების ჩატარება; ახალშობილ ბავშვთა გამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟის ჩატარება კინეზოთერაპიის საშუალებების გამოყენებით; ნევროლოგიურ დაავადებათა სიმპტომების ამოცნობა; პაციენტის ასაკობრივი ნორმების გათვალისწინება ფსიქიური პრობლემების მქონე პაციენტებთან ურთიერთობისას; ფსიქიატრიული პაციენტის მოვლისას წარმოქმნილი პრობლემებზე ადექვატური რეაგირება; კრიტიკულ სიტუაციებში საკუთარი თავის მართვა; პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და ცნობიერების დარღვევისას; ჰიდრომასაჟი, შარკო, წყალქვეშა და მშრალი გაჭიმვის მეთოდების ჩატარება; პაციენტის აღმსარებლობის მიუხედავად მისი მოვლა ადამიანური ღირსების შესატყვისად; შეაფასოს პაციენტის მდგომარეობა, შეადგინოს მკურნალობის კონსპექტი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილების შინაარსით, დოზირებით, მეთოდური შენიშვნებით და



ს(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

	<p>კონცენტრაციით იმ ილეთებზე, რომლებიც ალიმტირებენ ოპტიმალურ სამკურნალო შედეგს; შეარჩიოს და გამოიყენოს, გარდა კლასიკური მასაჟისა, კინეზოთერაპიის, აკუპრესურის და მანუალური თერაპიის ხერხები; საკუთარი ცოდნა და გამოცდილება დასცეს დაბალი საფეხურის მასაჟისტს, სამუშაო ადგილზე შეასწავლოს დიფერენცირებული მეთოდიკები პრაქტიკულად ჩატარებულ პროცედურებზე დასწრების დროს.</p> <p>შეუძლია ჰიდრომასაჟი, შარკო, წყალქვეშა და მშრალი გაჭიმვების მეთოდიკების ჩატარება.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>აქვს უნარი: დამოუკიდებლად კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის გზების დაგეგმვის და განხორციელების; სამედიცინო დოკუმენტების წაკითხვის, გააზრების და საკუთარი პოზიციის დაცვის; პაციენტის კრიტიკული მდგომარეობის სწორი შეფასების, შესაბამისი მიდგომის ამორჩევა, გაანალიზება და გამოყენება; ექიმი რეაბილიტოლოგის შენიშვნების გათვალისწინება და საჭიროების შემთხვევაში მისი ინფორმირება; საჭიროების შემთხვევაში საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა; პრობლემურ და ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი აზროვნება; გადაეყვებილების ეფექტური და სწრაფად მიღება; პაციენტის ინდივიდუალური მდგომარეობის შესაბამისად მანიპულაციების სწრაფად შერჩევა და ჩატარება</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>აქვს უნარი: პროფესიასიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება; პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი კონტაქტის, მოსმენილის გააზრების და საჭიროებისას დაზუსტების; კრიტიკული სიტუაციის შეფასების და ინფორმირების; პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის; პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის; დანიშნულების შესრულების შესახებ დროული ინფორმაციის მიწოდების; დოკუმენტაციის კვალიფიცირებული წაკითხვის და ინფორმირების; ინგლისურ ენაზე მარტივი კომუნიკაციის; ინგლისურ და ქართულ ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანგარიშის წარდგენა; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების; სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებთან ერთნაირად კეთილგანწყობილი დამოკიდებულების. გაუზიაროს , დასცეს და შეაფასოს ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს;</p>
	<p>აქვს უნარი: შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლებაზე პასუხისმგებლობის აღება. საჭიროების</p>



ა(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

<p>სწავლის უნარი</p>	<p>შემთხვევაში მითითებულ ლიტერატურის მოძიების, ინფორმაციის მოპოვების და ცოდნის გაღრმავების; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის გამოყენებით ხელმისაწვდომი გახადოს თავისთვის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა; კერძო სწავლების საფუძვლების ცოდნა აძლევს პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას; შემდგომი სწავლის შესაძლებლობებისა და სხვისი დახმარებით გადაწყვეტილებების მიღების; გადაწყვეტილების დამოუკიდებელი მიღება;</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>გააჩნია: პაციენტებთან, მათ უახლოეს მიკროსოციუმთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; გარემოს სანიტარული მდგომარეობის შეფასებისა და პრევენციის უნარები; რელიგიური მიკუთვნებულობის მიუხედავად კრიტიკული სიტუაციებისას პაციენტის მიმართ კეთილგანწყობა. კრიტიკულ სიტუაციებში არ კარგავს კეთილგანწყობას; პროფესიული პრობლემის წამოჭრისას პასუხისმგებლობით ეკიდება საკითხს.</p>

თავი VII პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

ისეთი გამონაკლისი შემთხვევების დროს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის გაუქმებას ან შეცვლას, დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე მიღებული კრედიტების აღიარებით) ან ხელი შეუწყოს მათ მოხილობას; პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში გაფორმებული გვაქვს თანამშრომლობის მემორანდუმები - შპს მე-3 სამედიცინო პროფესიული ცენტრთან და ქვერიცვალეების დედათა მონასტერთან არსებულ პროფესიულ კოლეჯთან (იხ. დანართი).

თავი VIII პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი

პროგრამაში გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის დასრულებისას პროფესიული სტუდენტები შეაფასებენ კითხვარს (იხ. დანართი). მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. შესაძლოა საჭირო გახდეს პროგრამის მოდიფიცირება.

თავი IX პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ჯგუფი: - ლალი ზაუტაშვილი - ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“ გამგეობის თავმჯდომარე/დირექტორი;

- ლია ბულაძე - ექიმი-პედიატრი;



ს(ა)იპ - სასაგადოებრივი კოლეჯი

„ადამიანი და ბუნება“

- მერი ვაშაკიძე - ექთანი-პედაგოგი;

- ლალი ანდრიაშვილი - მედ.დოქტორი/ოჯახის ექიმი.